უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 8

20/3 წ. "01" 08

ქ.თბილისი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1300-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის პირველი აგვისტოს №2 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
ბაკალავრიატი	1. სახვითი ხელოვნება (კონცენტრაციები: დაზგური ფერწერა; დაზგური გრაფიკა); 2. დიზაინი (კონცენტრაციები: ტანსაცმლის დიზაინი; ტექსტილის დიზაინი; ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი) 3. არქიტექტურა და დიზაინი (კონცენტრაციები: შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; ინტერიერი და დიზაინი); 4. საშემსრულებლო -შემოქმედებითი ხელოვნება (კონცენტრაციები: დრამატული თეატრის რეჟისურა; დრამისა და კინოს სამსახიობო; თოჯინების თეატრის რეჟისურა; თოჯინების თეატრის სამსახიობო); 5. აუდიოვიზუალური რეჟისურა (კონცენტრაციები: კინორეჟისურა; ტელერეჟისურა); 6. ხელოვნების ისტორია და თეორია (კონცენტრაციები: ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა) 7. მასობრივი კომუნიკაცია - ტელე-რადიო ჟურნალისტიკა; 8. კულტურული ტურიზმი; 9. კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი; 10. საშემსრულებლო ხელოვნება (კონცენტრაციები: ფორტეპიანო; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო); 11. მუსიკის თეორია, აკადემიური გუნდის დირიჟორობა;	1. სახვითი ხელოვნების ბაკალავრი 2. დიზაინის ბაკალავრი 3. არქიტექტურის ბაკალავრი 4. თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი 5. აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი 6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი 7. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი 8. ტურიზმის ბაკალავრი 9. მენეჯმენტის ბაკალავრი 10. სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი

		11. სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი
მაგისტრატურა	1. დიზაინი (კონცენტრაციები: ტექსტილის დიზაინი; მოდის დიზაინი); 2. საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (კონცენტრაციები: დრამატული თეატრის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა); 3. აუდიოვიზუალური რეჟისურა (კონცენტრაციები: მხატვრული კონოს რეჟისურა; სატელევიზიო ფილმების რეჟისურა); 4. ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნობა); 5. ხელოვნების მენეჯმენტი; 6. საშემსრულებლო ხელოვნება (კონცენტრაციები: ფორტეპიანო; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო); 7. მუსიკის თეორია; ეთნომუსიკოლოგია;	1. დიზაინის მაგისტრი 2. თეატრალური ხელოვნების მაგისტრი 3.აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი 4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი 5.მენეჯმენტის მაგისტრი 6. სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი 7. სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი

№	**პროგრამის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა**
1	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის/ სომხურენოვანთათვის	60

პროფესიული პროგრამები:

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია**	**კრედიტების რაოდენობა**
1.	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება	IV	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
2.	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება	V	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
3.	მინის დეკორატიული დამუშავება	IV	მინის დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4.	ქორეოგრაფ-რეპეტიტორი	IV	ქორეოგრაფ-რეპეტიტორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5.	ქორეოგრაფ-რეპეტიტორი	V	ქორეოგრაფ-რეპეტიტორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6.	კინოტელეოპერატორი	IV	კინოტელეოპერატორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

7.	მონტაჟის რეჟისორი	IV	ვიდეო-მონტაჟის რეჟისორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
8.	მონტაჟის რეჟისორი	V	ვიდეო-მონტაჟის რეჟისორის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
9.	ფოტოგრაფი	IV	ფოტოგრაფის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
10.	ტელერადიორეპორტიორი	IV	ტელერადიორეპორტიორის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
11.	გუნდის ლოტბარი/რეგენტი	V	გუნდის ლოტბარის/რეგენტის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120